საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი

# პრესრელიზი

## საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი - ,,წიგნის მუზეუმის“ მხარდამჭერი

საქართველოში პირველი და კავკასიაში ყველაზე დიდი ,,წიგნის მუზეუმი“ გაიხსნება. ეროვნული ბიბლიოთეკის ამ ინიციატივას მხარდაჭერა „დავით ბეჟუაშვილის განათლების ფონდმა“ გამოუცხადა. დღეს ეროვნულ ბიბლიოთეკასა და „დავით ბეჟუაშილის განათლების ფონდს“ შორის მემორანდუმი გაფორმდა.

„წიგნის მუზეუმი“ წლის ბოლოს უკვე ფუნქციონირებას დაიწყებს და ახალ საგამოფენო სივრცეში ეროვნული ბიბლიოთეკის საცავში დაცული უძველესი და უნიკალური წიგნები გამოიფინება. ბიბლიოთეკის ფონდში პროექტს უკვე უწოდეს საუკუნის პროექტი. ამით ეროვნული ბიბლიოთეკის პირველი კორპუსის აღდგენა - განახლება იწყება.

პროექტის მხარდამჭერები არიან აშშ-ს საელჩო საქართველოში და კომპანია „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“.

ჩვენი კომპანია მიესალმება ამ წამოწყებას. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“ მუდამ გამოთქვამს მზადყოფნას იყოს იქ სადაც ეროვნული და კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და პოპულარიზაციას ეხება საქმე.

2016.04.18

-----------------------------------------------------------

კომპანია „ჯი-აი-ჯი“ ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინდუსტრიული ჯგუფია საქართველოში. მისი ბიზნეს პორტფელი მოიცავს ნახშირის მოპოვებას, ელექტროენერგიის გამომუშავებას (ჰიდრო, ბუნებრივ აირზე და ნახშირზე მომუშავე სადგურები) ბუნებრივი აირით ვაჭრობასა და უძრავი ქონების მართვას. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელია დავით ბეჟუაშვილი.

"Georgian Industrial Group" Ltd
Gazapkhuli str. 14, 0177, Tbilisi
Tel.: +995 32 221 01 87
Fax: +995 32 221 01 89
www.gig.ge

გთხოვთ მოგვმართოთ:
E-mail: m_manjgaladze@gig.ge
Mob: 995 577 77 03 06
E-mail: n_bandzeladze@gig.ge
Mob: 995 577 77 03 01

შემოგვიერთდით:
Georgian Industrial Group Holding